



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ლორთქიფანიძე რუსუდან რევაზის ასული

ლორთქიფანიძე რუსუდან რევაზის ასული (დ. 5. VIII. 1947, თბილისი), არქიტექტორი. დოქტორი (1993), პროფესორი (1996), საქართველო და სრულუფლებიანი ელჩი იტალიაში (1998–2004), თსუ-ის რექტორი (2004–06). დაამთავრა სპი-ის არქიტექტურის ფაკ-ტი (1970). 1975–97 მუშაობდა საქართველოში მეცნიერ თანამშრომლად, პარალელურად (1977–98) ეწეოდა პედ. საქმიანობას სპი-ში (1990-იდან სტუ), არქიტექტურის ფაკ-ტზე. გამოქვეყნებული აქვს სამეცნ. ნაშრომები, მ. შ. 3 მონოგრაფია. საკონკურსო პროექტები: სადიპლომო პროექტების საკავშირ. დათვალიერება-კონკურსი (1971, I პრემია), თბილისში ბავშვთა კომპლექს „მზის“ კონკურსი (1977, I პრემია). ლ. 1994 მიიწვიეს რომში „ლა საპიენცას“ უნი-ტში. 2002 მიიღო რომის ანგელოზებისა და კონსტანტინეს ხელოვნ. მეცნიერებისა და ლიტერატურის აკადემიის საპატიო დოქტორის წოდება. ლ. დაჯილდოებულია სან-მარინოს (1987) და იტალიის (1995) ქალთა მოძრაობის მედლებით. მონაწილეობდა 1999 რომის პაპის იოანე პავლე II-ის საქართველოში ვიზიტის ორგანიზებაში (ეს იყო პაპის პირველი ისტ. ვიზიტი პოსტსაბჭოთა მართლმადიდებელ ქვეყანაში).
